კვირა, 1918 წ. მაისის 19 № 95

კვირა, 1918 წ. მაისის 19 № 95

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ, რკ. გზის სადგურებზე [illegible]

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთ მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერთ მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

საგულისხმიერო ცნობები

გერმანელების ცნობით ინგლისელებს ოსტენდეს მშვიდობიან მცხოვრებთათვის დიდი ზარალი მიუყენებიათ.—ჩრდილოკავკასიის რუსეთიდან გამოყოფა ნოტით ეცნობა ოსმალეთის მთავრობას.

სოხუმის რაიონში ჯუღელის რაზმმა ბოლშევიკები დაამარცხა.

კვირას, 19 ამა მაისს, ორმოცი დღის თავზე გარდაცვალებისა ტრაგიკულად მოკლულის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში დილის 10 საათზე წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, რასაც ქვრივი და შვილები მისი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს. 1—953—1

კვირას, ამა 19 მაისს, ორმოცის დღის თავზე გარდაცვალებისა ტრაგიკულად მოკლულის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე, წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, რასაც გუბერნიის კომისარიატი და ადმინისტრატიული კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს.

1—953—1

რუსული პარტია, რუსული პოლიტიკა?

საქართველოს დღევანდელი კრიტიკოსნი თუმცა მორცხვად, მაგრამ მაინც ხშირად ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს იმაზე, თუ ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა „ამიერ-კავკასიის დემოკრატიის" წინაშე, თუ დღევანდელმა მდგომარეობამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ „ამიერ-კავკასიის მთლიანი დემოკრატიული ფრონტი" დაიშალა და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაირღვა და დანაწილდა. სოციალ-დემოკრატიული რუსული გაზეთი „შრომა" ჰფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაღუპვა იგივეა, რაც რევოლუციის დაღუპვა. რევოლუციის ხსნა კი, იმ რევოლუციის, რომელიც ასე საუცხოვოდ ჩაატარეს რუსეთის და ამიერ-კავკასიის „დემოკრატიულ ფრონტებზე", ყოველივეა ჩვენი დღევანდელი მხსნელებისათვის. ბათუმი, აჭარა, ყარსი, ეროვნული მთლიანობა, ეროვნული თავისუფლება, ყოველივე ეს ისეთი რამ არის, რომლის მოგონებაც კი ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს ყველა ნამდვილს დემოკრატს და სოციალისტს, რომელსაც საფრთხე მოელის რევოლუციის და ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფრონტს.

ამ საერთო დემოკრატიულ ფრონტზე საქართველო პატარა და უმნიშვნელო ელემენტია. მის დამარცხებას და ბათომის დაკარგვას არ გამოუწვევია მთლიანი ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფრონტის ამოქმედება, ამოძრავება. ყარსი თუ ალექსანდროპოლი [illegible] ხოვს. მაგრამ ეს ყოველივე მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, საქართველოს ისეთი მეთაურები რომ ხელმძღვანელობდენ, რომელნიც მხოლოდ საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესებზე იზრუნებენ. ჯერ კი ჩვენდა საუბედუროთ ასე არ არის.

ამიერ-კავკასია არ გამოეყო რუსეთს მაშინ, როდესაც ამას საქართველოს ინტერესი მოითხოვდა, არამედ მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიის დემოკრატია იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა.

საქართველომ არ მიიღო მონაწილეობა ბრესტის მოლაპარაკების დროს, არ დაიჭირა რაიმე დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებთან თავის დროზე, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ამიერ-კავკასიის ფრონტმა მიიღო, თუ ის იძულებული იყო და დღესაც არ გამოდის საქართველო, როგორც საქართველო, არამედ როგორც უმსგავსო ერთეულის უსახო ნაწილი.

ბათუმის დაკარგვა, ოსმალეთის შემოსვლა, თავისუფლების [illegible]? როდესაც ასეთს საკითხებზე დაიწყებენ ბჭობას სოციალდემოკრატიული გაზეთები „ერთობა" და „ბორბა" თავის თავს შემდეგი კითხვა მისცენ: განა შეიძლებოდა, რომ სხვა შედეგები მოჰყოლოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ამიერ-კავკასიის მეთაურები აწარმოებდენ?

„ბორბა" სცდილობს ოსმალეთის შემოსვლის პასუხისმგებლობა ნაციონალისტებს მიაკუთვნოს. განა ამისათვის საკმარისია დემაგოგიური ფრაზები? ტყუილი ცდაა. სინამდვილე, მწარე სინამდვილე იმდენად ნათელია, რომ

სომეხ ტერორისტთა კორპუსი

უცნაური ამბავი გამოაქვეყნა სომხურმა გაზეთმა „ჰორიზონმა". თურმე თბილისში არსებულა სომხური სარევოლუციო დაშნაკცუთუნის ტერორისტთა კორპუსი („აჰაბეკჩ მარმინი"). კორპუსი იგი არ ეკრძალება აშკარად, ოფიციალი სახით ბრძანება-ბრძანებაზე გამოსცეს. აი ერთი ასეთი თვალსაჩინო განკარგულება, რომელიც მიმართულია 1) წითელ გვარდიელებისა, 2) ყველა იმათდამი, ვინც იარაღის ტარების მოწმობა მიიღო ს. ს. დაშნაკცუთუნისგან, 3) თბილისში მცხოვრებთ და სხვა და სხვა ადგილებიდან გადმოხვეწილთ და თბილისის მიდამოებში მყოფ ყველა დაშნაკელს, რომელთაც იარაღის ხმარების უნარი აქვთ, მზად იყვნენ,—რა წამსაც საჭირო იქნება დაუყონებლივ გამოცხადდენ თავ-თავიანთ უბნების კომიტეტების ბიუროში." ბრძანებას აწერია: „სომხური სარევოლუციო დაშნაკცუთუნის სატერორო კორპუსი".

როგორც ჰხედავთ, აქ საქმე ნიღაბ ახდილ ბოროტ-მოქმედებასთანა გვაქვს, რომელთა უკმეხობა იმდენად საოცარი არ არის, როგორც მათი მოვლენა და ერთგვარი, თუ გნებავთ, სახელმწიფოს სახელმწიფოში დაარსება. მართლაც და რას ნიშნავს ეს? ვინ არიან ეს აბეკჩ მარმინი? ვის წინააღმდეგ დაჭირდათ ამ კორპუსის დაარსება დაშნაკცუთუნებს? საინტერესოა ვიცოდეთ, როდის, ან ვისგან მიიღო სანქცია ასეთი „კორპუსის დაარსებისა",

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 19 მაისს, პირველ საათზე, ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში

რევაზ ალექსანდრის ძის

ფავლენიშვილის

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ნატალია ალექსანდრეს ასული ფავლენიშვილი და ნინო ალექსანდრეს ასული გველესიანი შვილებით: ივანე, თამარ, სიდონია და ქეთევან.

სომხური პრესა

„უკანასკნელი დღეების ფაქტები თითქმის უეჭველს ჰყოფენ რომ ამიერკავკასია ვერ ასცდება ცენტრალური კოალიციის და კერძოთ მისი მეთაურის გერმანიის ძლიერ გავლენას პოლიტიკურსა, ეკონომიურსა და კულტურულ სფეროებში.

ამ ახალი ფაქტორის გავლენით ბუნებრივად ხდება ცვლილება ამიერკავკასიის ერების ორიენტაციაში. კერძოთ სომხები რომელნიც შეურიგებელი მტერი იყვნენ ცენტრალური კოალიციისა რადგან იმაში შედიოდა და შედის ოსმალეთი, რომლისაგანაც სომხეთს ბევრი სიმწარე უნახავს გერმანულ ორიენტაციას ადგებიან და ურიგდებიან. „მშაკი“ (№ 90) ვრცელ წერილს უძღვნის ამ საკითხს სათაურით „გერმანია და კავკასია“.

ერთი საღდეისო მნიშვნელოვან საკითხთაგანია ის თუ რა როლი უნდა ითამაშოს ამიერიდან გერმანიამ და გერმანულმა კულტურამ ამიერ-კავკასიის ბედსა და ცხოვრებაში“.

გაზეთი აღნიშნავს რომ ჯერ გამოურკვეველია თუ რა დამოკიდებულებას დაიჭერს გერმანიის, ავსტრიის და ბოლგარიის მთავრობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკასთან რადგან მათ ოფიციალურად არ უცვნიათ ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. ეს სცნო ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოსმალეთმა. თუმცა გერმანია-ავსტრია-ბულგარეთის წარმომადგენლები დათანხმდენ ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ისინი სცნობდნენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

„ყოველ შემთხვევაში არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამიერიდგან გერმანიას ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა ექნება ამიერკავკასიაზე და ის ეცდება ამიერკავკასია თავის ვაჭრობა-მრეწველობისა და კულტურის ასპარეზად გადააქციოს. თუნდაც რომ ამიერკავკასია ოსმალეთის მფლობელობაში მოექცეს—ასეთი მდგომარეობა სულ ადვილი მოსალოდნელია—გერმანიის ეკონომიური და კულტურული გავლენა მაინც ძლიერი იქნება და ნამდვილად ჩვენ იძულებული ვიქნებით გერმანული ორიენტაცია მივიღოთ. ოსმალეთი, რომელსაც არც მრეწველობა გააჩნია და არც კულტურა, მოკლებული იქნება ყოველგვარ გავლენას და იძულებული იქნება ყოველ საკითხში დაუთმოს თავის ძლიერს მოკავშირეს.

მაშასადამე ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმ ფაქტის შესახვედრად, რომ ამიერკავკასია გერმანიის ძლიერ პოლიტიკურსა და ეკონომიურ გავლენას დაექვემდებარება.

მაგრამ როდის და რაფერ პირობებში შეიძლება, რომ გერმანია ჩაერიოს ამიერკავკასიის საქმეებში და შემოიყვანოს თავისი ჯარები?

ამ კითხვაზე თბილისში გამომავალი გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“ ასეთ პასუხს იძლევა:

„გერმანიის ჯარები შეიძლება შემოიჭრან ამიერკავკასიაში სამი სხვადასხვა მიზეზის გამო... პირველი გამომწვევი მიზეზი ბოლშევიკების თავდასხმა ამიერკავკასიაში შემოჭრის მიზნით, რასაც უსათუოდ მოჰყვება გერმანული რაზმების შემოსვლა. მეორე გამომწვევ მიზეზად შეიძლება სპარსეთში გერმანული ნაწილების გაგზავნის აუცილებელი საჭიროება. გარდა ამისა გერმანიამ შეიძლება თავს იდვას კავკასიის ერების დაცვა-მფარველობა. ის მდგომარეობა რომელშიაც იქნებიან გერმანიის ჯარები ამ უკანასკნელ შემთხვევაში კავკასიელებისათვის გაცილებით უკეთესი იქნება ვიდრე პირველ ორ შემთხვევაში რადგან ეს მდგომარეობა მოუტანს მათ სიმშვიდეს, წესრიგს, მფარველობას და უმაღლესი კულტურის განვითარების შესაძლებლობას. თავისთავად იგულისხმება რომ მეგობრული დამოკიდებულება ერთის მხრით მოითხოვს ასეთსავე დამოკიდებულებას მეორეს მხრითაც, ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს თუ გერმანელი ერი განსაკუთრებულ მეგობრობას უცხადებს ქართველებს და ნდობით უცქერის თათრის (თათარაკან) ერს. უფრო ნაკლები კეთილგანწყობილება აქვს გერმანელებს სომხების მიმართ რომელთა ხელმძღვანელებმაც თვით ომის დაწყებიდანვე, სამწუხაროდ, ბევრი ასეთი საქმე ჩაიდინეს, რამაც ხელი შეუწყო ამ ორი ერის ერთმანეთისაგან დაშორებას“.

მართალია, შენიშნავს „მშაკი“, გერმანიას არ აქვს საბუთი რომ სომხების მადლიერი იყოს მაგრამ გერმანელმა ერმა არ უნდა დაივიწყოს რომ, ნამდვილად სომხის ერი გერმანელ ერის წინააღმდეგ არავითარ მტრულ გრძნობებს არ ასაზრდოებს, რომ, პირიქით, სომხის ინტელიგენციის დიდი ნაწილი გერმანულ კულტურაზეა აღზრდილი და განათლებული: და თუ ამ უკანასკნელ ომში სომხის ერი შეუერთდა გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლთ, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო რომ გერმანიის მოკავშირე და თანამებრძოლი იყო ოსმალეთი, ის სახელმწიფო რომელმაც მიზნად დაისახა სომხობის ძირიან-ფესვიანად ამოფხვრა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ თუ ამიერ-კავკასიაში გავრცელდა და გაძლიერდა ევროპის კულტურა სომხები მისი დიდად ხელშემწყობი იქნებიან.

მთავრობის ცნობა

უკანასკნელ ოპერატიულ ცნობაში ნახსენები იყო, რომ გუმბრი ოსმალებმა 15 მაისს 17 საათზე აიღეს და ჩვენმა ჯარმა ალექსანდროპოლისკენ დაიხია უკან. ამ ფრონტზე შემდეგში ეს მოხდა: 16 მაისს ოსმალთა მთავარსარდლობამ სომხურ კორპუსის უფროსს გენ. ლიონტ. ნაზარბეკოვს ულტიმატუმი წარუდგინა და მოსთხოვა გადაწყვეტილი პასუხი გაეცა ერთი საათის განმავლობაში და დაბეჯითებით მოითხოვდა ოსმალთა ჯარი გაეშვა ჯულფისაკენ. ოსმალთა მთავარსარდალი იტყობინებოდა: „თუ თქვენ უზრუნველჰყოფთ ჩვენი ჯარის მოძრაობის წესიერებას, ამ შემთხვევაში დარწმუნებული იყავით, რომ ლოიალურად მოგექცევით. ხოლო თუ თქვენ მტრულად მოგვეპყრობით, ჩვენ იძულებულნი გავხდებით ქვეითად გავილაშქროთ და ვერ უზრუნველვყოფთ მცხოვრებთა ხიწუნარეს დარბევას ჯარისაგან!! ოსმალთა სარდალი იტყობინებოდა, რომ ის დაიწყებს მოძრაობას პასუხის მიღებამდე; ამ შემთხვევაში ის დაეყრდნობა საერთო სტრატეგიულ მდგომარეობას და რადგანაც ერთი საათის ვადამ განვლო გენ. ნაზარბეკოვმა თავისთავზე იდო პრინციპიალურად საკითხის გადაჭრა და პრინციპიალური თანხმობა მისცა ოსმალთა მთავრობის პასუხის მიღებამდე. ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოსმალთა სარდლობას უნდა სცოდნოდა კარგად, რომ ამ ხასიათის საკითხების გადაჭრის უფლება მთავრობასა აქვს მხოლოდ, რომელსაც ის, ყველა ამაზე შეატყობინებს. მიიღო რა ოსმალთა მოთხოვნილება გენ. ნაზარბეკოვმა, ამასთანავე ერთად მოითხოვა წინსვლის შეწყვეტა და როგორც ოსმალთა, ისე ამიერკავკასიის ჯარების დატოვება წინანდელ ადგილზე ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლების და ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზავო დელეგაციის შეთანხმებამდე ბათუმში. გენ. ნაზარბეკოვმა იმავე დროს სთხოვა ოსმალთა სარდლობას ნება დართონ გუმბრის ლტოლვილებს სახლში დაბრუნდნენ.

გენ. ნაზარბეკოვის შეკითხვაზე მთავრობა ემყარება რა გუმბრის რაიონში მომხდარ ამბებს, თანახმაა ოსმალთა წინადადებისა იმ პირობით, რომ ტექნიკური პირობები ბათუმში იქნეს განხილული და მოითხოვა ჯარის უმტკივნეულად გადმოყვანილ იქნეს სადემობილიზაციო ხაზზე, რათა არ მოხდეს ორი ლაშქრის შეტაკება.

რადგანაც ბოლო დროს ოსმალთა სარდლობა გუმბრის მიმართულებით გენ. ნაზაროვს პოლიტიკურ ხასიათის ულტიმატუმების წარმოდგენა დაუწყო, მთავრობამ წინადადება მისცა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ი. ჩხენკელს მოსთხოვოს ოსმალეთის უმაღლეს მთავარსარდალს, რომ ყოველგვარი პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნილებებით მიმართონ პირდაპირ ამიერ-კავკასიის მთავრობას.

ზავის გარშემო

რომის პაპი და ბრესტის საზავო ხელშეკრულება

პეტროგრადი. აპრილის 30. რომიდან აუწყებიან, რომ პაპა ომის გათავებამდე არ სცნობს არავითარ ახალ სახელმწიფოს და ბრესტის ზავით შექმნილ მდგომარეობას იგი სანქციაში არ მოიყვანს. („ვეჩერნიაია ზ. ზნ“).

ელზას ლორენის საკითხი

პეტროგრადი. აპრილის 30. კოპენჰაგენიდან „ნოვაია ჟიზნ“-ს აცნობებენ, რომ რაიხსტაგის მთავარ კომისიას განზრახული აქვს ფარულ სხდომაზე ელზას ლორენის საკითხის განხილვა. ამ საკითხის გარშემო უკვე აწარმოებს მოლაპარაკება გერმანეთის მთავრობის და იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც შედიან გერმანეთის იმპერიის შემადგენლობაში. („ვეჩ. ზ.“)

ომი

დასავლეთის ფრონტი

გერმანეთის ცნობა

ბერლინი. მაისის 16. კემმელის მთელ უბანში საარტილერიო სროლაა. ლა-ბასსეს არხის ორსავ მხარეს და სომმასა და ავრის შუა განუწყვეტელ საარტილერიო ცეცხლს ანთებენ ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. ავრის დასავლეთ მხარეზე და სენ-კანტენის ტყესთან მტერი ძლიერ ძალებით გამოვიდა მაგრამ დიდი ზარალის მეტი ვერა ნახა რა. ჩამოვაგდეთ მტრის 33 ჰაეროპლანი მარტო 14 როტმისტრ ფონ-რიხტჰოფენმა ჩამოაგდო. ლეიტენანტ ვინდიხმა ეს მეოცე ჰაეროპლანი დაღუპა.

იტალიის ფრონტზე

ვენა. მაისის 16. ბრენტისა და პიავეს შორის, მონტე ასოლონოსა და მონტე პერტიკის მახლობლად იტალიელთა მზვერავი რაზმები გავფანტეთ.

მაკედონიის ფრონტი

ვენა. მაისის 16. ტბა ორხიდასთან საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. ვარდარის დასავლეთით და მატშიკოვის მახლობლად ინგლისელები ცდილობდნენ მოახლოვებოდნენ ჩვენს მოწინავე საზვერავ ადგილებს მაგრამ ამაოდ.

საფრანგეთის ცნობები

პარიზი. მაისის 16. ავრის რაიონში ქვეითა ჯარის და არტილერიის მოქმედებაა. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

მაკედონიის ფრონტი

პარიზი. მაისის 16. დოირანის რაიონში გაცხარებული საარტილერიო მოქმედებაა. მონასტირის სამხრეთით ქვეითა რაზმი მოქმედობს.

საერთო მდგომარეობა ფრონტზე

პარიზი. აპრილის 26. ფლანდრიაში და სომმაზე გერმანელების მიერ მიტანილ იერიშებით იწყება შეტევის მესამე ფაზა. მიზნები არ შეცვლილა. ამიენი და კალეს აღებაა, მაგრამ ტაქტიკა სხვაა. გერმანელს სურს შეიტყოს ის, თუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ბრძოლაში ამერიკა.

„ტაიმსი“ დასავლეთის ფრონტის შესახებ

გერმანელები დასავლეთის ფრონტზე ამოქმედებენ უკვე 30—35 დივიზიებს ამიენის მიმართულებით. მათ ჰყავთ 10—11 დივიზია. მათი დანაკლისი უდრის 120 ათას კაცს. სულ კი მარტიდან გერმანელებმა დაჰკარგეს 350—400 ათასი კაცი. ასევე დიდი ზარალი ნახეს მოკავშირეებმა, განსაკუთრებით ინგლისელებმა. მათ მარტო ტყვედ 700 ათასი კაცი დაჰკარგეს. ორივე მებრძოლ მხარეს დაკლდათ 1 მილიონამდე. ამასთან ერთი მეათედი სამუდამოდ მოაკლდენ ჯარს. 1918 წლის გაზაფხულმა და ზაფხულმა უნდა გადასწყვიტოს ომი და თუ ეს ვერ მოხერხდა, დასავლეთის ფრონტზე მებრძოლ სახელმწიფოებმა ახალი გზები უნდა მონახონ. შესაძლოა მორიგდენ ბრძოლიდან ადრე გამოსულ რუსეთის ხარჯზე. გერმანულ პრესა უკვე ლაპარაკობს ამის შესახებ. გერმანეთის რუსეთში მოქმედება თანდათან იმ აზრზე გვაყენებს, რომ ასე იქნება, როგორც ჩანს, [illegible] დასასრული უახლოვდება.

მაგრამ გერმანეთი ომის გათავებას შეეცდებოდა არა შეთანხმებით, არამედ ხმლით. მას მარაქაფად ჰყავს ჯერ კიდევ 40 დივიზია, და შესაძლოა, რომ გადამწყვეტ წამში გერმანეთი მათზე დაამყარებს დიდს იმედებს.

ომის 580 ათასი მსხვერპლი

პოლონური გაზეთი ჰ. წერს, რომ პოლონეთში 10 გუბერნიის 1800 სასაფლაოებში ვარშავის პრესის გამოანგარიშებით დამარხულია 580 ათასი ჯარისკაცი, მსხვერპლი დღევანდელ ომისა.

ჩერჩილის განცხადება.

თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში ჩერჩილმა სხვათა შორის, განაცხადა ბოლო ხუთი კვირა ჩვენთვის იყო მეტად უმძიმესი. ჩვენ დავკარგეთ ათასამდე ზარბაზანი, 5 ათასი ტყვიისმფრქვეველი და ამდენივე ყუმბარა. მაგრამ საჭირო იყო ერთი კვირის მუშაობა და საქმე კვლავ გამოვასწორეთ. ამ ჟამად გვაქვს ყველა ყალიბის იარაღი უფრო მეტი წინანდელზე. გერმანელ სამხედრო მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ ცნობის შესახებ ჩერჩილმა განაცხადა:— გინდ მათ მიერ ხელში ჩაგდებულ იარაღის რიცხვის განდიდებაც არ იყოს, ჩვენ მაინც არა გვიჭირს რა. წართმეული ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები ახლებით შევცვალეთ. ხუთსათის ზარბაზანსაც ერთ თვეში ავანაზღაურებთ. ამას გარდა ჩვენ საბედნიეროდ დავუმატეთ ისიც, რომ გერმანელებმა ერთი თვით დააგვიანეს შემოტევა. ჩვენ შეგვიძლია 1919 წლისათვის თადარიგიც დავიჭიროთ. ჩვენ გვაქვს ამის იმედი, ჩვენ ახლაც შეგვიძლია გაწარმოოთ უმძაფრესი ომი ისე, რომ 1919 წლის თადარიგს ხელი არ ვახლოთ. ყველა ეს შევასრულეთ, მიუხედავად იმისა, რომ საჭიროებაც დიდი იყო. ამაში ხელს გვიწყობდნენ მუშებიც. ამ ჟამად სურსათის საქმეზე 750 ათასზე მეტი ქალი მუშაობს. ჰაეროპლანებს ამ ჟამად ერთ კვირაში უფრო მეტს ვაწარმოებთ, სანამ სრულ 1914 წლის განმავლობაში. მანქანების რიცხვიც საკმაოდ გავამრავლეთ. ამფეთქებელ ნივთიერებათა შემოკრებაც კარგად გვიხდება. ჩვენი მხრიდან ბოლი არ ჩამოუვარდება გერმანელებისას და ჩვენი ბოლის წინააღმდეგ სახმარებელი ნიღაბი საუკეთესოა მთელს ევროპაში. მილიონობით ლაუგზავნეთ იგი ჩვენსა და იტალიურ ჯარებს, მალე გაუგზავნით ამერიკელებსაც. ზარბაზნებსაც მალე ვასწორობთ და არაფერი არ გვაშინებს.

კავკასიის ფრონტზე

დაწვრილებითი ცნობები გუმბრის ამბების შესახებ

თბილისი. მაისის 17. მაისის 15—17 საათზე ოსმალებმა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე დაიჭირა ორთაყილისი, მოგვიჭრა რკინის გზა და განაგრძო შემოტევა ჯაჯურისკენ. მარცხენა ფრთაზე ოსმალებმა დაიჭირეს მცირე კარაკლისი და გუმბრს ზურგით მოექცნენ. დროებით ზავის მოულოდნელმა დარღვევამ თავზარი დასცა ქალაქის და მახლობელ სოფლების მცხოვრებლებს. თავზარდაცემულნი გამოიქცნენ და თან მოჰყვებოდათ ჯარისკაცები. გავგზავნეთ პარლამენტიორები რათა შეგვემუშავებინათ ქალაქის გადაცემის წესი. ქალაქის და ციხის გადაცემის პირობები შემდეგია: 1) შეიარაღებულებმა უნდა დასტოვონ ქალაქი და იარაღი ჩააბარონ. 2) ქალაქში შევა ოსმალთა ჯარის ნაწილი წესიერების აღსადგენად. დანარჩენი ნაწილი განაგრძობს შეტევას ალექსანდროპოლისკენ. 4) რკინის გზის სადგური, დეპო, სახელოსნოები მანქანები, წესიერად უნდა ინახებოდეს.

რუსეთი

მოსკოვი უპუროთ.

გაზეთ „ვპერიოდ“-ის ცნობით მოსკოვში უპურობა მეტად საშინელ ხასიათს ღებულობს. ერთ კვირის განმავლობაში აპრილის 19—26 მოსკოვისთვის მოვიდა სულ 42 ვაგონი ფქვილი და ხორბალი, მაშინ როდესაც მოსკოვის მცხოვრებლებს სულზე გირვანქის მეოთხედი რომ აძლიონ სჭირდებათ 120 ვაგონი კვირაში. („ვეჩ. ზ.“).

40 ათას ბავშვის გადმოყვანა.

მოსკოვის საევაკუაციო შემდგარ კომისართან დაარსდა პროვინციის განყოფილება, რომელმაც სხვათა შორის შეიმუშავა მოსკოვიდან ყველა საბავშვო თავშესაფართა გადმოყვანის გეგმა. პროვინციებში დაგზავნეს აგენტები ბავშვების საზაფხულო ადგილების მოსანახავად. განზრახული აქვთ მოსკოვიდან 40.000 ბავშვის გადმოყვანა. მოსკოვის თავშესაფრებში საშინელი სანიტარული მდგომარეობაა. ზოგიერთ თავშესაფარში 50—75 პროცენტი იწვება ავადმყოფობით.

ეროვნული საკითხი

დამოუკიდებელი კურლიანდია.

პეტროგრადი. აპრილის 30. გერმანული რადიო-დეპეშა აპრილის 27 თარიღით იუწყება: ვილჰელმმა სცნო კურლიანდიის უფლება. იგი დამოკიდებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას დაიმყარებს. გერმანეთის იმპერია კურლიანდიასთან ხელშეკრულებას დასდებს.

კანცლერს წინადადება მიეცა იზრუნოს ეკონომიურ და სამხედრო ხელშეკრულების შესამზადებლად. („ვეჩ. ზ.“).

ესტონეთში.

პეტროგრადი. აპრილის 30. ესტონეთის გერმანიზაცია ენერგიულად სწარმოებს.

რეველში გერმანელებმა მოაწყეს ლექციები მსოფლიო ომის შესახებ. ლექციებს კითხულობენ ცნობილი გერმანელი პროფესორები. ნარვაში გერმანელები სდგავენ პატრიოტულ პიესებს გერმანულ ენაზე. („ვეჩ. ზ.“).

უცხოეთი

გერმანული პრესა უკრაინის შესახებ

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი სწერს: უკრაინაში მდგომარეობა თანდათან აწვავდება, ეს სასურველი არ არის გერმანეთისათვის. პოლკოვნიკი რეპინგტონი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მათ უფრო ძლიერი ოპერაციებში მოუხდათ ჩაბმა, ვიდრე ეგონათ.

კონსტიტუციური წყობილება ინდოეთში

ინგლისის პარლამენტში მონტეგიუ ამ დღეებში გააკეთებს მოხსენებას ინდოეთში კონსტიტუციურ წყობილების შემოღების შესახებ.

ინგლისის მშრომელ პარტიის ყრილობა

კოპენჰაგენი. ლეისტერში შესდგა წლიური ყრილობა ინგლისურ დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რათა ხალხთა შორის დაუყოვნებლივ იქმნას ზავი ჩამოგდებული. კავშირის თავმჯდომარემ [illegible] მუშამ გაილაშქრა ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ, რომელიც ამდენ ღვარძლს ჰსთესავს და არას აკეთებს ზავის დასაჩქარებლად.

კარლოსის და კაიზერის თათბირი

კარლოსმა ინახულა კაიზერი მთავარ სამხედრო ბანაკში. კარლოსს თან ახლდა, ავსტრიის მთავარ შტაბის უფროსი. ბანაკში თათბირი ჰქონდათ ავსტრიისა და გერმანეთის შორის კავშირის განმტკიცების შესახებ. თათბირში იღებდა მონაწილეობას ჰინდენბურგიც.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **გაერთიანებული სხდომა.** გუშინ შესდგა გაერთიანებული სხდომა მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლებისა ბაქოს ამბების და მინისტრთა ამხანაგების დანიშვნის შესახებ.

◆ **იორამ თარხან მოურავის ოჯახის აკლება.** ს. ახალქალაქში ყელი გამოსჭრეს 85 წლის კნეინა პელაგია იორამის ასულს თარხან-მოურავისას და მოსამსახურე ქალს ნინო ხუციშვილისას 80 წლისა, აიკლეს მთელი ოჯახი, სადაც თავადი იორამი ცხოვრობდა. ბოროტ განზრახველთ ურმებით უზიდიათ „ნადავლი" და დაუსჯელად მიმალულან.

◆ **მეათე საუბნო სასურსათო კომიტეტმა** განიხილა აწინდელი სასურსათო მდგომარეობა და ერთხმად დაადგინა ერთიანად გადადგეს თანამდებობიდან.

◆ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.** ხვალ შედგება სეიმის იურიდიულ კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება ამიერ-კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხი. ექსპერტებად მოწვეულნი არიან: ს. დ. ჯაფარიძე, მ. ო. გრუზენბერგი და შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

◆ **მიწათმოქმედების სამინისტროს უმიხარის მუშაობა** ქუთაისის გუბერნიაში კარგად მიდის. ლეჩხუმის მაზრაში ანარქიის გამო მუშაობა ჯერჯერობით ვერა ხერხდება.

◆ **თელავში.** აპრილის განმავლობაში თელავის მაზრაში უნდა მიეღოთ 11 მამული 1045 დესეტინის სივრცისა სოფ. ურიათუბანში.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტის** გადაწყვეტილების თანახმად უნდა შეიქმნას საქართველოს ეროვნულ საბჭოს წიგნთსაცავი. ამიტომ კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქართულ დაწესებულებათა თუ კერძო პირთ, შემოსწირონ ხსენებულ წიგნთსაცავს თავიანთი თუ სხვისა გამოცემები.

◆ **ყრილობა.** კვირას 10 მაისს ქართულ კლუბში დილის 10 საათზე დანიშნულია ქართულ ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების სექციის სამუსიკო განყოფილების საორგანიზაციო ყრილობა. ყოველი სამუსიკო მოღვაწე, დამკვრელი და მომღერალი, ვალდებულია გამოცხადდეს ამ ყრილობაზე. ყრილობის დასასრულ გაიმართება ქართული ეროვნული ჰიმნის და მარსელიეზის რეპეტიცია.

◆ **პირველი ქართული ორიგინალური ოპერა.** ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის ინიციატივით ქართულ კლუბის შენობაში დაიდგმება პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „ქრისტინე". მუს. გოგნიაშვილისა. მონაწილეობენ ა. კალანდაძისა, მიხაილოვის ასული, ი. სარაჯიშვილი და სხ. ოპერა დაიდგმება სამშაბათს 21, ხუთშაბათს 23 და შაბათს 25 მაისს.

◆ **შეწირულება.** თბილისის მიხ. სახელობის საავადმყოფოს ექიმებმა მოსაგონებლად ექიმი ქალის ს. გ. მამრაძე-გაბუნიასი ქართულ საზოგადოების „განათლების" სემინარიის სასარგებლოდ შემოსწირეს 250 მანეთი. მოსაგონებლად ექიმ ს. გ. მამრაძე-გაბუნიასი, ამავე სემინარიის სასარგებლოდ ს. გ. ტარუაშვილმა შემოსწირა 50 მანეთი.

კავკასია და ოსმალეთი

მოსკოვის გაზეთ „ზნამია ტრუდაში" (მემარცხ. ნ. სოც. რევოლუციონერების ორგანო) მოთავსებულია შემდეგი ცნობა ვინმე კომგრუზინსკის, რომელსაც ორგანო თავის საგანგებო კორესპონდენტს უწოდებს.

სოხუმი. აპრილის 29. ამიერ-კავკასიის სეიმი საჭიროდ სცნობს ოსმალეთთან დაუყოვნებლივ ზავის შეკვრას, რომ მთელი თავისი ძალა მიმართოს ჩრდილოეთიდან მიმავალ ანარქიის, ე. ი. ბაქოს და შავ ზღვის პირის რევოლუციურ მოძრაობის ჩასაქრობად. ჟორდანია, წერეთელი და გეგეჭკორი, როგორც რუსეთის ორიენტაციის მომხრენი დამარცხდნენ. გაიმარჯვა ოსმალეთის ორიენტაციის მომხრე პარტიამ, რომელსაც სათავეში ჩხენკელი უდგა. ოზურგეთიდან ოსმალთა ჯარები გარეკეს ბათომისკენ. სადნატანებთან, ბათომის ახლო აპრილის 21 ბრძოლაში მოჰკლეს 500 ოსმალო.

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ჩხენკელმა გამოაცხადა, რომ კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია. ოსმალეთის ჯარების უფროსი თხოულობს აპრილის 21 ბრძოლაში დახოცილ ოსმალების აკრების ნებართვას. ოზურგეთის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ორგანომ მოათავსა წერილი: „ამიერ-კავკასიის და ზავის მთავრობა, რომლითაც მოუწოდებს მშრომელ კლასს ამიერ-კავკასიის მთავრობასთან საბრძოლველად. წერილი თავდება შემდეგ სიტყვებით: „ძირს ბეგები და თავადები. ძირს ამიერ-კავკასიის მთავრობა. გაუმარჯოს რევოლუციას ამიერ-კავკასიაში!"

ამიერ-კავკასიის მთავრობამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, გადასწყვიტა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების განახლება. ა. ჩხენკელმა ტელეგრაფით აცნობა უცხოეთის ელჩებს, რომ აპრილის 22-ს ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა ამიერ-კავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ამიერ-კავკასიის სეიმი

მაისის 16 სხდომა.

თავმჯდომარეობს **ნ. ს. ჩხეიძე.**

მიმდინარე საკითხების გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარე საყვედურს გამოსთქვამს სეიმის კომისიების ნელგრილ მოქმედებისას და აღნიშნავს, თუ ეს ასე გაგრძელდა, მაშინ სეიმის მუშაობა შეუძლებელი გახდება. ზოგიერთი კანონპროექტი,—ამბობს იგი,—პრეზიდიუმს ორი საათით ადრე გადაეცა, ვიდრე სხდომა დაიწყებოდა. ეს კი მეტის-მეტად უხერხულს მდგომარეობაში ჰყოფს ნაყოფიერს მუშაობას.

ისტორიული კომისიის დაფუძნება.

განსახილველად წამოყენებულია პირველად კანონპროექტი ისტორიულ კომისიის დაარსების შესახებ. სეიმის წევრის **ნ. ჟორდანიას** მოხსენების თანახმად ამ კომისიამ უნდა შეაგროვოს ყველა მასალები, აგრეთვე, მოიწვიოს მცოდნე პირები კერძო მონოგრაფიათა და ომების აღსადგენად. კომისიის წევრებს თანაშემწეებად მოიწვევენ საჭირო რიცხვს რედაქტორებისა, კორექტორებისა და სხ. ამ კომისიის შესანახად კანცელარიისათვის გადადებულია 6,305 მან.

გვაზავა. (ერ. დემოკ.) საინტერესოა ვიცოდეთ, რომელ ენაზე იმუშავებს კომისია, ან და თვით ისტორია რომელ ენაზე დაიწერება. თუ რუსულზე, რატომ იგი არ უნდა დაიწეროს ქართულად, ანუ სომხურად.

ტოგრანიანი (დაშნაკ.) უმჯობესი იქნება კომისიამ იმუშაოს არა სამხედრო სამინისტროსთან, არამედ სეიმთან, ან რომელიმე სამეცნიერო საზოგადოებაში.

ნ. ჟორდანია (მენშევ.) უმთავრესი ის კი არაა, თუ რომელ ენაზე დაიწერება ისტორია, არამედ ის, რომ კარგად დაიწეროს. რაც შეეხება იმას, რომ კომისიამ სეიმთან იმუშაოს, განა სეიმი კი სამეცნიერო დაწესებულებაა. კომისიას ყოველთვის სამხედრო სამინისტროს არქივებში მოუხდება მუშაობა, ამიტომაც მისთვის უმჯობესია იქ დარჩენა.

მცირე კამათის შემდეგ სეიმი ამტკიცებს კანონპროექტს.

თბილისის დამცველი შტაბის დროებითი შტაბი.

საფინანსო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბოვმა** აღნიშნა, რომ თბილისში დაარსდა დამცველი შტაბი ქალაქში უწესოებასთან საბრძოლველად. ამასთანავე წარმოადგინა კანონპროექტი 212,720 მან. კრედიტის გახსნის შესახებ ამ შტაბის შესანახად.

სეიმმა ერთხმად დაამტკიცა კანონპროექტი.

ესერების ფრაქციის შეკითხვა.

თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ გამოაცხადა ესერთა ფრაქციის შეკითხვა, რომელსაც ხელს აწერენ ბერეზოვი, თუმანოვი და თარხანოვი. შეკითხვა ეხება ინტერნაციონალურ სოც. ბატარეის დაშლას.

თუმანოვი. (ს. რ.) მოკლედ აღნიშნავს ბატარეის ისტორიას, რომელიც დაარსდა „კრაევოი ცენტრის" დადგენილების თანახმად. აქ შედიოდნენ მხოლოდ ს.-დემოკრატები და ს.-რევოლუციონერები. სათავეში უდგა ჩეკალინი. ბატარეას ჰქონდა ყოველგვარი სამხედრო მასალა რომ უცებ მიიღო ბრძანება დაშლის შესახებ. თუმანოვი მოითხოვს სამხედრო მინისტრისაგან, გაგვაგებინეთ, რა მიზეზით მოახდინეთ ასეთი განკარგულება მის დასაშლელადაო.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე. (მენშ.), ბატარეა დაიშალა სწორედ ისე, როგორც დაშლილ იქმნენ მთავრობის ურჩი ბატარეები გორში, ქუთაისში და სხვ. 9 მარტს როცა გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, ბატარეამ აქტის წინააღმდეგი რეზოლუცია გამოიტანა. 13 აპრილს მანვე გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობის ასეთი ნაბიჯი კონტრ-რევოლუციონურიაო და რომ ბატარეა მის განკარგულებათ აღარ დაემორჩილებაო. შემდეგ მთავრობამ მიიღო ცნობა, თუ რაიმე უწესოება მოხდა, მაშინ ბატარეა მთავრობის მოწინააღმდეგეს დაუჭერს მხარსაო. ამის გამოისად 17 აპრილს გამოიცა ბრძანება ბატარეის დაშლისა და იარაღის ჩამორთმევის. ვიდრე მთავრობა თავის პოსტზე სდგას, იგი ყოველ გვარს ზომებს მიიღებს იმათ წინააღმდეგ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და დემოკრატიის ინტერესებს.

თუმანოვი. სამხედრო მინისტრის მოსაზრებათ წინააღმდეგ და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მთავრობას ყოველთვის ვერ ემორჩილებოდითო. მართალია, იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ბატარეა უნდა წასულიყო ბრძანებისამებრ მალაღაშვილის დასახმარებლად ბაქოსკენ, მაშინ მან უარი განაცხადა წასვლაზე, მაგრამ ეს იმიტომ, რომ საკმაოდ შემზადებული არ იყო. რაც შეეხება რეზოლუციას, იგი გამოტანილი იყო პროტესტის ნიშნად მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ბრძანება მოვიდა ბატარეის დასაშლელად. რეზოლუციაში მართლა ნათქვამი იყო, მთავრობა კონტრრევოლუციონურ ნაბიჯს სდგამსო.

გვაზავა. (ერ. დემოკ.) ამართლებს სამხედრო მინისტრის მოქმედებას და ეკითხება: რაო ჩემო, განა მთავრობას იმისთვის უნდა ეცადნა, თუ როდის მოუღერებდნენ ზარბაზნებს? თუმცა არ უნდა, ის ბატარეა, რომელიც არ დაექვემდებარა ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობას, უნდა დაშლილიყო. წინადადებას შეიტანს ეს საკითხი მოიხსნას.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე (მენშ.) ხელ ახლად გამოდის და აცხადებს, რომ იგი იძულებულია სთქვას ის, რის შესახებაც არ ჰსურდა ლაპარაკი. ესერთა პარტიის ის ნაწილი, რომელიც ახდილად გამოვიდა სეიმისა და მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებს ხალხს ამ მთავრობის დასამხობლად, მთავარს ძალას სწორედ ამ ბატარეაში ხედავდა, მასზე ემყარებოდა, მითი იყო გაგულიანებული 11 აპრილს მერხალევმა (ს. რ.) აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ ბრძანება გამოიცა ბატარეის დასაშლელადაო. ეს ცნობა ყალბი იყო, მოგონილი, მაგრამ მან თვისი საქმე უკვე გააკეთა: ბატარეა აღელდა და გამოიტანა რეზოლუცია მთავრობას არ დავემორჩილებითო. ასე მოხდა კონფლიქტი მთავრობასა და ბატარეის შუა და მთავრობაც იძულებული იყო ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა.

თარხანოვი (ს. რ.) იცავს შეკითხვას და კითხულობს, რატომ ბატარეია არ იქნა გაგზავნილი ფრონტზეო. თუ ვინმე იყო დანაშავე, უნდა ის სამართალში მიეცათ. რა შუაშია აქ მთელი ბატარეა?

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი (მენშ.) თუნდაც მხოლოდ ერთი შემთხვევა ყოფილიყო მთავრობის განკარგულებათა საწინააღმდეგოდ, ბატარეა იმ შემთხვევაშიც კი უნდა დაშლილიყო. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიას ეწევიან არა თუ ბოლშევიკები, არამედ ს. რევოლუციონერთა ერთი ჯგუფიც. დადგა დრო, როცა უნდა ახლად ითქვას, რომ მზადდებოდა ერთგვარი შეთქმულება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ჩასაშლელად. და ამ შეთქმულებაში ეს ჯგუფიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. არავინ იცის, გამოვიდოდნენ თუ არა ეს ნაწილები, ან იქნებ გონზედაც მოსულიყვნენ გადამწყვეტ წუთებში, მაგრამ რომ მზადება იყო, ეს უკვე ეჭვს გარეშეა.

როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში მთავრობა? იგი ნათლად ჰგრძნობდა თავის მოვალეობას სეიმისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე და მიტომაც ერთად-ერთი ზომად ჩასთვალა ბატარეის დაშლა. და არა თუ ერთ ბატარეას, მთავრობა მზადაა მთელი კორპუსიც კი დაშალოს, თუ კი ქვეყნის დამოუკიდებლობას და კეთილდღეობას ემუქრება (ტაში).

შემდეგ საკამათოდ გამოდიან თევზაია, ბერეზოვი, ლორთქიფანიძე. კამათი მკაცრს ხასიათს იღებს. საბოლოოდ გამოტანილია ფორმულა მორიგ საკითხებზე გადასასვლელად.

497,490 მანეთის გადადება დაზარალებულთათვის.

სეიმმა განიხილა კანონპროექტი 497,940 მან. გადასადებად დაზარალებულების შესანახად. უნდა გაიხსნას 4 ლაზარეთი 1655 საწოლით. ეს წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

სხდომა დაიხურა 4 ნახ. საათზე.

თეატრის აღორძინება

თეატრის „აღორძინებაზე" უკვე დაბეჯითებით ზრუნავს ქართული დრამატიული საზოგადოება. გვიან, მაგრამ მაინც დროზე შეურიგდა იმ აზრს, რომ თეატრის აღორძინებისთვის, საჭირო იყო სრულიად ახალი ინტელიგენტური ძალების აღმოჩენა, მათი გაწრთვნა, რომ განახლებულს ცხოვრებას განახლებული ხელოვნება შეხვედროდა. სრულიადაც არ გვსურს გადაჭარბებულს ოპტიმიზმს მივეცეთ „აღორძინების" ოცნებაზე, მაგრამ არც თუ რამ საპესიმიზმო გვაქვს, თუ გადავხედავთ იმ ახალგაზრდა ძალებს, რომელნიც ჯერ-ჯერობით საკმაოდ ამოაჩინეს.

მაგრამ დრამატიული საზოგადოების გარჯა და ასეთი ოფლის ღვრა მაგონებს როგორღაც იმ მთესველის ამბავს, რომელიც დიკოს ქვიშნარზე სთესავდა. როგორ?—მკითხავთ თქვენ! როგორ და ისე, რომ ახლად გაწრთვნილ დასს არ ექნება ჯეროვანი თავშესაფარი, თუ გავიხსენებთ იმ ამბავს, რომ ძველი, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ნაადრევად დაბერებული დასის ჩამორჩენა და დასუსტება სწორედ უბინაობის ბრალი იყო. ბევრმა მწვავე განცდანი გვარგუნა [illegible] ფოიეში. ვაი თუ კარგად ნაგები სათეატრო შენობა დაგვიწვა და მსახიობნი მელპომენეს [illegible] გაიფანტნენ. არ ახსოვს ჩვენს დასს როდისმე ისეთი საგრძნობელი ტკივილი განეცადოს, როგორც ამ ოთხს წელში, როდესაც უნებურად კლუბის სცენაზე დახურდავდა თავისი ნიჭი და შრომის უნარი.

დღესაც სწორედ ამ საშიშროების წინაშე ვდგევართ. თუმცა რევოლუციამ თითქმის ყოველ სფეროში მოახდინა თავისი მაცხოველებელი თუ წამლეკველი ცვალებადობა, მაგრამ თეატრის ბედი ამ მხრივ ისევ გამოცანის წინაშე დაეყენა, იმავე დაღვრემილ სახით გულ ხელ დაკრეფილი.

ბევრი ჰფიქრობს, რომ პოლიტიკურ ცვლილებათ მოჰყვება თეატრის ბედის გაღიმებაც, ქართველობას დარჩება სახაზინო თეატრი და სხვ. მე მსურს გავითვალისწინო ყოველგვარი შესაძლებლობა. დავიწყოთ სახაზინო თეატრის შენობით. თუნდაც ბედმა ასეთი თავაზი გამოიჩინოს ჩვენს წინაშე, გულუხვი ხელით გვიწყალობოს ეს მართლაც და შესანიშნავი საუნჯე, დრამატიულ საზოგადოებას მაინც ძალისთვის მოუხდება ახალი თავშესაფრის ძებნა, იმიტომ, რომ სახაზინო თეატრის სცენა მხოლოდ ოპერისათვის არის შეწყობილი და არა სადრამოდ. 1905—6 წლების მოგონებით ვიცით, რომ მიუხედავად დეკორაციების სიმდიდრისა მისი სცენა არ იყო სახარბიელო: აკუსტიურად იგი შეუფერებელია სადრამო წარმოდგენებისთვის. ან და რადგან შორს მივდივართ, ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინ ალ. სუმბათაშვილი და მისი დასი უძლური გამოდგა სავსებით გამოეჩინა ის ძალა და უნარი, რითაც ასე როგორც შეეყვარა თავი მან მოსკოველებს.

ეხლაც არ ყოფნის, ეს შენობა ოპერისთვის დაგვეჭირდება. რადგანაც დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნისა რა წამს მიიღებს უფლებას სანქციას და შეუდგება საკუთარ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას, უნებურად მიექცევა ყურადღება, რომ ოპერაც [illegible], მდიდარია ჩვენი ქვეყანა სამუსიკო ნედლი მასალით, [illegible] გვიჩნდებიან, [illegible], ეხლა სწრაფის ტემპით უნდა ვეცადოთ მუსიკის აღორძინებასაც, მაშ რა უფლება გვაქვს მას თავშესაფარი გამოვეცალოთ?

სახაზინო თეატრის იქით რჩება არტისტიული და სახალხო სახლი. აქ სიტყვის გაგრძელება მეტია, ვინაიდან არტისტიული საზოგადოებას და აქ დარჩენილ რუსობას დასჭირდებათ, ხოლო მეორე სახალხო ხალხს და თუნდაც ხალხმა დაგვითმოს, მაინც იმ „აღორძინებისთვის", რაიც განზრახული აქვს დრამატიულ საზოგადოებას, აქ ვერ მოახდენს. მაშასადამე, რომ ყოველგვარს დაბრკოლებას თავი დააღწიოს, დრამატიულ საზოგადოებას ჰმართებს ისევ საკუთარს ძალ-ღონეს დაეყრდნოს. როგორ, რა ძალით? მოგახსენებთ?

ჩვენ ვიცით, რომ თეატრისათვის სარაჯიშვილმა საკმაო თანხა დასტოვა. დიდად მომგები ამ თამასუქების განაღდებისა. ახლანდელი დრო ლატარიისაც. და აი, დრამატიულ საზოგადოებასაც ჰმართებს, რომ ეხლავე შეუდგეს ზრუნვას, თუ რა გზებით, ან სად აშენოს საკუთარი თეატრი. ახლავე უნდა აღმოაჩინოს, თუ და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], სად უფრო შესაფერისი იქნება, [illegible] ყველასათვის [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] გეგმა თეატრისა. [illegible] რა ფული [illegible] ძველი თეატრის შესაკეთებლად, მაგრამ ისიც არ დაგვავიწყდება, რომ თუ სტიქიას არ ჩაცხოვა იგი, საჭირო იყო წყალქვის ალება და დანგრევა მისი. მელპომენეს თვით არ შეიწყნარა იგი და მისი დაწვის უფლება მიანდო სტიქიას—განსვენება მას! ჩვენთვის კი ახალი თეატრი საჭირო. ძველს შაბლონს უნდა მოეღოს ბოლო. ჩვენის აზრით, სანიმუშოდ უნდა მიღებულ იქნეს ან მიუნხენისა, ანდა ვენის საიმპერატორო თეატრი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელია ცნობილი ევროპაში ხელოვნების როგორც უკანასკნელ სიტყვად. ამ გეგმის გადაწყვეტა და ადგილის სწრაფი შოვნა,—აი მორიგი საკითხი დრამატიულ საზოგადოებისთვის, რომ ფულის მიღება და საქმის აღდგომა ერთი და იგივე იყოს. საჭიროებისა და მოქმედების [illegible] ხოლო განახლებას [illegible] [illegible] და დიდი ნიჭი არა, რამდენადაც სიმკვირცხლე და ბეჯითი მეთოდიური მუშაობა ჰქმნის.

დ. კახრაძე.

გურულების დახმარება

ამ შემთხვევაში არ აღვნიშნავთ პრესის საშუალებით ის საკითხი, რომელიც დღეს ყველა ქართველს და განსაკუთრებით კი [illegible] [illegible]. გურულების [illegible] [illegible] უპირველესად იმ ქართველთ ეკუთვნის, ვისაც მთავრობის სათავეში მოექცნენ და გურულების ზრუნვაზე კი, როგორც საზოგადოდ ყველა ქართველ ლტოლვილების შესახებ, საშინელს უმოქმედობას იჩენენ. თითქოს ჩვენი მთავრობის მეთაურები გურულებს თავის პოლიტიკის საფუძვლად სთვლიდენ და გურულებზე დიდს იმედს ამყარებდნენ და როცა გურულები ოსმალების შემოსევით უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნენ მათი დახმარების შესახებ მთავრობაში საკითხიც არ დასმულა. თუ მთავრობამ სომეხ გადმოხვეწილებისთვის თითქმის ოცი მილიონი გამოიღო, ისიც არა თუ მათს გამოსაკვებად, არამედ მინისტრ კაჩაზნუნის ბრძანებით სომეხ ლტოლვილების ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლეობის მოსაწყობად, გვეკითხებით: რად დაივიწყეთ გურულები, რომ ერთი საკითხიც არ შეგიტანიათ მთავრობაში, რომ ფაქტიურად მთავრობა მათ დახმარებოდა? ან და შე ძმებო თქვენ დღეს იმედს ამყარებთ იმ გურიის კომიტეტზე, რომელიც შესდგა თბილისში? ან შეიძლება კერძო პირებმა თავისი გამოღებული თანხით დააკმაყოფილონ აწიოკებული გურულები თუ მთავრობამ არ დაეხმარა? მაგრამ ვიცით [illegible] [illegible], რომ ჩვენ სხვისთვის უფრო ვზრუნავთ, ვიდრე ჩვენი ხალხისთვის. ეგ დრო თუნდაც უფრო საინტერესო ჩვენთვის მაგალითი. ვინ არ იცის გურულთაგანმა და სხვებმაც, რომ ვლადიკავკაზში გურულების დავალებით იყო გაგზავნილი აფხაზიონ ლომთათიძე სიმინდის შესაძენად და [illegible] [illegible] ნებიერი ვარ ეს პატრონები [illegible] რამდენ საფრთხეს გამოიგლიდა, რომ ეს დავალება აესრულებინა და დამშეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურულები ამით მაინც დაეკმაყოფილებინა. მაგრამ რა მიხდა? ფაითა და ფაიფაგლახით სიმინდი მოვიდა მცხეთაში, მაგრამ აქ გურულებისათვის მოტანილ სიმინდს დაადვა თავისი ბრჭყალები სასურსათო მინისტრმა საჯაიანმა და ასე დაუმატა: რა მცოდნია გურულებიო. უსათუოდ სახეში გადმოხვეწილი სომხები ეყოლებოდათ ეს სიმინდი რომ გამოუგზავნიათო. ეს პატიოსანი მუშაკი აფ. ლომთათიძე ჯერაც პირში ჩალა გამოვლებული რომელ მთავრობის კანცელებში არ დადის მაგრამ ჯერაც ვერაფერი ვერ გაუწყვია და საჯაიანის ბრჭყალებიდან სიმინდი ვერ გაუნთავისუფლებიათ: ვეკითხები გურულების დამხმარე კომიტეტს, მართალია თუ არა ყოველივე ეს? გთხოვთ, უფალო მთავრობავ, თუ აფრასიონ ლომთათიძეს არ შეიცოდებთ, რომელმაც ამდენი იწვალა, შეიცოდეთ დამშეული გურულები, რომლებმაც თქვენ ამოგირჩიათ: გაანთავისუფლეთ მინისტრ საჯაიანის ბრჭყალებიდან გურულების სახელზე ნაყიდი სიმინდი და ამით მაინც დახმარება გაუწიეთ.

დ. კალანდაძე.

უთავბოლო თავდასხმა მე-8 პოლკზედ

გაზეთ „ერთობის“ № 92-ში მაისის ათს მოთავსებულია ვინმე ავაქოვის ცნობა რომელშიაც მოხსენებულია, რომ თელავში ახლად შემდგარ მე-8 ქართულ მსროლელ პოლკში კვლავ დაწყებულა უწესოება და ქეიფი, რომ თითონ ავაქოვს 15 აპრილს დაუვლია ყაზარმები და იქ ვერ უნახავს მორიგე აფიცერი, ბატონი ავაქოვი ამ ორ მითომდა ფაქტებით ხელმძღვანელობს, და გადაჭრით წინასწარმეტყველობს მოსალოდნელ თელავის ანარქიას მე 8 პოლკის ჯარისკაცების მხრივ.

დავანებოთ თავი თუნდ ბატონ ავაქოვის წინასწარმეტყველებას და მის მიზანს, ეკადნიერდება და შევნიშნავ, „ფაქტებს“ რომელზედაც ის ემყარება სინამდვილეს არ შეეფერება: 1) არავითარ „ქეიფს და უწესოებას“ მე 8 პოლკში ადგილი არა ჰქონია. 2) მორიგე აფიცერი დღე-ღამის განმავლობაში მოვალეა რამდენჯერმე დაიაროს ყაზარმები და დანარჩენ დროს შეუძლიან იმყოფებოდეს საყარაულო ოთახში, აფიცერთა საყარაულო დარბაზში ან პოლკის ყაზარმების ფარგლებში 15 აპრილსაც როგორც ყოველთვის, მორიგე აფიცერი იმყოფებოდა თავის ადგილზე; ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ვერ შეხვდა ბატონ ავაქოვს ყაზარმაში ჩამოვლის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ პირობების გამო, პოლკში არ მოიპოვება არც ერთი გამოცდილი და მცოდნე უნტერ-აფიცერი, ამიტომ ყოველ როტაში და ცალკე კომანდაში, მორიგე აფიცრის გარდა, ინიშნება თითო აფიცერი, რომელთა მოვალეობაა—თვალყურის დევნება შიგნით ყაზარმაში, და ფეხს ვერ მოიცვლიან ოცდა ოთხი საათის განმავლობაში ყაზარმების ფარგლებიდგან; თვით ფაქტი, თუ როგორ მოხვდა ბატონი ავაქოვი ყაზარმებში, აიხსნება იმით, რომ პოლკი ახლათა სდგება, ჯარისკაცები ყველა არ არიან გამოწყობილნი ფორმის ტანისამოსში, ნაკლებად იცნობენ სახეზე ერთი მეორეს; შერყეული დისციპლინა მხოლოდ ეხლა ეწყობა, „დნევალნები“ და მორიგე ჯარისკაცები მხოლოდ ეხლა ითვისებენ თავიანთ მოვალეობას. მოტყუება უსწავლელ „დნევალნი“ს, ეს ეს არის გუთანს მოშორებულისა, არც ისე ძნელია, რომ ჯარისკაცთა სადგომები უცხო პირებმა ინახულონ, რასაც ხელს უწყობს დღევანდელი საერთო მღრევა სამხედრო საქმეში; ბრალდების წამოყენება, მორიგე აფიცერზე და საერთოდ კომანდის შემადგენლობაზე, უნდა მიეწეროს ან შეგნებულ არა კეთილ სინდისიერებას ან ბალღურ გულუბრყვილობას, მაშინ ჩვენის მხრივ ლმობიერება საჭიროა; რაც შეეხება იმ შენიშვნას, რომელიც გაუკეთა რედაქციამ თავის გაზეთ ერთობის № 96-ში მე-8 პოლკის აფიცერთა საპროტესტო წერილს ავაქოვის მიერ ტყუილ ცნობების გამო, გვიკვირს, რომ აღნიშნული რედაქცია არც ისე გულუბრყვილოა და არც ისე უმწეოა თავის ლოღიკაში, რომ ვერ გაიგოს: ნორმალურ წესიერების და დისციპლინის დროს რომ დანაშაულისათვის ნორმალური პასუხისმგებლობა ყოფილიყო მაშინ თვით ბ-ნი ავაქოვი არ მოისურვებდა ყაზარმაში შესვლას, რადგან დაპატიმრებული იქნებოდა. დღეს, როცა ყოველი ელემენტი, სამხედრო თუ სამოქალაქო და საზოგადოებრივი დისციპლინისა, დარღვეულია საძირკველშივე, მეტად დიდი შრომა გვჭირდება, რომ ჯარისკაცებს შევათვისებინოთ ყოველი ანბანური მცნება მოქალაქობრიობისა დისციპლინასთან დაკავშირებული; მაგრამ ბ-ნ ავაქოვებს შეუძლიანთ ყოველ შეცდომაში ოფიცერთა შემადგენლობას დასდონ ბრალი, მხოლოდ რედაქციისაგან კი მეტ წინდახედულებას მოველოდით.

მე-8 ქარ. მსროლელი პოლკის უფროსი პოლკოვნიკი თავაძე.

P. S. აღდგომის პირველ დღეს თელავში მოხდა მკვლელობა ადგილობრივ კომისრის თანაშემწისა; ეჭვი მიტანილია მე 8 პოლკის ჯარისკაცზე მირიმანოვზედაც, რომელიც წასული იყო ადრევე ყაზარმებიდგან უფროსების დაუკითხავად. სწორედ ამ ფაქტის გამო, როგორც მაჩვენებელი ღრმა საზოგადოებრივ ღალატისა და ანარქიისა, რომელიც ხდება თითქმის ყოველდღე მთელ მხარეზედ, ზოგიერთი კორესპონდენტი თავიანთი სიბეცით დაინახვენ და იპოვნიან მიზეზს მე 8 პოლკში.

თ.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მიბოძეთ გამოვაცხადო, რომ ჩემ მიერ მოკრეფილი ფული ოლთისის ოლქში 16-დან—55 იანვრამდე არტაანის ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ ას ოცდა რვა მანათი (128 მ.). 29 ამა იანვარს გადავეცი ამა საზოგადოების თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის ძე სალარიძეს, რომლის ხელ-მოწერილი საკვიტანციო ბარათი შე მაქვს.

შემომწირველთა სია: დავით გიორგის ძე ხუციშვილმა 50 მ., სერგეი თუსუთ ბეგი კაგრამანბეკოვმა 10 მ., დავით ალექსის ძე მუხაშვილმა 10 მ., გ. ივანეს ძე სამუნჯავამ 5 მ., ს. მ. კარაპეტოვმა 3 მ., დანიელ სერგეის ძე შაპოვალოვმა 5 მ., კონსტ. გრიგორ. მოისეევმა 10 მ., ალექსანდრა ნიკოლაზის ასული სირაძე—პოპოვისამ 10 მ., ნესტორ პეტრეს ძე პეტიამ 5 მ. იასონ გრიგორ. კენჭაძემ 5 მ., აკაკი ევგენის ძე დავითულიანმა 5 მ., ალექსანდრე გაბრიელის ძე ჩარბიანმა 4 მ. და გიორგი სიმონის ძე ტატარინცოვმა 6 მან., სულ 128, რისთვისაც გულითად მადლობას ვსწირავ შემომწირველთ.

არტაანის ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების ყოფილი რწმუნებული და მღვიმანი ქ. ოდიშარია.

ვასწავლით

ქართულ ხმადურა ბალღებს

და

ვამზადებთ მომღერალ-მგალობლებს [illegible] და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა ძმ. კავსაძეებთან (ქართულ ბანკში და ქალაქის გამგეობაში).

სწავლა-გარჯიშობა: ჩუღურეთის ნიკოლოზის კლასი. სამშაბ. და პარასკევობ. საღ. 5—8 ს. გამოცდილნი მომღ.-მგალობლენი მიიღებიან ჯამაგირით.

3—3

ექიმი

დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი

იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (ხაიკინის კბილის საექიმო).

ტელეფონი 7—33.

თბილისის კუკიის სასაფლაოს

წმ. ნინოს ეკლესიის კრებული და მოლარე აცხადებენ ხსენებულ ეკლესიის მრევლის საყურადღებოდ

კვირას, 26 ს მაისს (ახალი სტილით), ნაშუადღევს 5-ს საათზედ სკოლის შენობაში დანიშნულია მედავითნის არჩევნები, რა დროისთვისაც იწვევენ მრევლს, განურჩევლად სქესისა, გამოცხადდნენ აღნიშნულ ადგილას, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. მედავითნის ადგილის დაკავების მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნები აღნიშნულ ვადამდე კრებულის სახელობაზედ.

1—1

იყიდება

მეტად შემოსავლიანი სახლი

16 სავაჭროთი

ქალაქის ცენტრში, ბაზართან, 4 ქუჩაზე გამოდის. იკითხეთ „საქართველოს“ კონტორაში.

3—3

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

კვირას 19 მაისს, დილის 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში იწვევს ყველა თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთ

საზოგადო კრებაზე

დღის წესრიგი: 1) შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც დამტკიცებულია. 2) არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება იქვე საორგანიზაციო კომიტეტის ერთ ერთ წევრთან.

2—951—3

კახეთის კავშირი

კოოპერატიულ დაწესებულებათა ამით აუწყებს საზოგადოებას რომ რწმუნებულთა

წლიური კრება

დანიშნულია 20 მაისისთვის (ახალი სტილით) ქ. თელავში.

3—1616—3

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოდ, რომ დღიდან ამის გამოცხადებისა მიდ, თანახმად ქართველ ვაჭართა და მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვისზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები.

5—950—4

ქართული კლუბი

სამშაბათს, 21 და ხუთშაბათს 23 მაისს 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა რევაზ გოგნიაშვილისა

ქრისტინე

4 მოქ. და 5 სურათ.

დირიჟორი—ნიკო ქართველი.

ბილეთები ამ თეატრთვე იყიდება თეატრის კასაში

2—952 2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის კომიტეტის

ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ მიიღონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებაზე დასწრება აეკრძალებათ.

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

თბილისის პირველ კოოპერატიული

სარძეო ფერმა

მიიღება წევრთა ჩაწერა. საწევრო გადასახადი პირველ შესვლისას 10 მანეთი. თითო პაის ფასი—150 მანეთი. პაიების რიცხვი განსაზღვრულია. ფერმაში რძის გარდა შემზადდება ნაღები, მაწონი, ფრანგული რძიდან შემზადებული ნაღები, კარაქი და აგრეთვე პასტერის წესით გაწმენდილი რძე და კეფირი. მუშაობას ხელმძღვანელობენ მეურნე-სპეციალისტები, თვალყურს ადევნებენ ექიმები. ფერმის მოსამსახურეთა შტატი და ადმინისტრაცია შესდგება განსაკუთრებით პაიების მფლობელთაგან.

კერძო პირების გარდა წევრებად მიიღებიან კოოპერატივები და საზოგადო სასადილოები, საჩაიები, საქველმოქმედო დაწესებულებანი: თავშესაფარები და სხვა ამგვარი. მათ უნდა შეიძინონ რამდენიმე პაი იმის მიხედვით, თუ რამდენი რძე დასჭირდებათ. საწევრო და პაის ფული მიიღება ყოველდღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 ს.-მდე და საღ. 4—6 ს. ხაზინადარ იმ.. დიაკონოვთან (გოლოვინის პრ. 8. კავკასიის ქალთა კოოპერატივის გამგეობა).

7—1612—3

მოქალაქენო!

ის მოქალაქენი, რასაც განიცდიან გამოქცეულნი, ყველა ეროვნებისანი, შეუძლებელია აიწეროს: ავადმყოფი, ჩაქლექილნი, შიმშილ-ტიტველი მორბიან დანგრეულ-გაცამტვერებულ საკუთარ ოჯახს მოწყვეტილნი.

არა თუ თვითეულ მოქალაქის მოვალეობა გვაიძულებს ამ საცოდავთა დასახმარებლად გაუწოდონ ხელი, არამედ იმისი შეგნებაც, რომ ამ გამოქცეულთა შორის ვრცელდება ათასნაირი ავადმყოფობა, რის გავრცელებაც შეუძლიანთ ჩვენში, თუ დროზე არ მივეპატრონეთ.

აუცილებლივ საჭიროა: 1) საცვლები მამაკაცისა, დედაკაცისა და ბავშვებისა; 2) ტანისამოსი, თუნდაც ძველი.

საცვლების შოვნა ფულითაც კი გაძნელებულია. საჭიროა საკუთარი საცვლის ნაწილი გაიღოთ.

საცვლების და ტანისამოსის მიღება შეიძლება ქალთა პირველ გიმნაზიაში (ლორის-მელიქოვის ქ.), გამოქცეულთა განყოფილებაში, დილის ათ საათიდან სამამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმითაც კი.

ტელეფონი № 14—49.

2—954—1

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეგიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირიჩნი“ ქუჩ. კუთხე № 32 შესავალი კირიჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ახთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ობ. კადეტთა კორპუსისა.

ნაწლავთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.** იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის“ პირდაპირ.

თ—1018—36

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქ-ი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—17

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსებისძე

ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

[illegible] ქუჩა № 6, [illegible].

ტელეფონი 14—37

1ო—960—44

სტამბა „ცხოვრება“ კალოუბნის [illegible] შესახვევი № 4.